



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დირექტორის  
ბრძანება



MES 6 21 0000163567



25/02/2021

**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2021 წლის 24 თებერვლის №156803 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის პირველი ოქტომბრის №103/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესის“ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესი დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
დირექტორი  
მახარაშვილი თამარ

**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესი**

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

ეს წესი ადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა (შემდგომში - ჩარჩო) და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის (შემდგომში - კლასიფიკატორი) დანერგვისა და განვითარების მიზნით მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში - მრჩეველთა საბჭო) შექმნისა და საქმიანობის წესს.

**მუხლი 2. მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის მიზნები**

1. მრჩეველთა საბჭო წარმოადგენს ჩარჩოსა და კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების პროცესებში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის საკონსულტაციო კოლეგიურ ორგანოს.
2. მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის მიზანია ჩარჩოსა და კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და ცენტრის დირექტორისთვის წარდგენა.

**მუხლი 3. მრჩეველთა საბჭოს ფუნქციები**

მრჩეველთა საბჭოს ფუნქციებია:

- ა) ჩარჩოსა და კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარებასთან დაკავშირებული ცენტრის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

- ბ) ჩარჩოსა და კლასიფიკატორის დანერგვასა და განვითარებასთან დაკავშირებით, ცენტრის წლიური სამოქმედო გეგმის აქტივობების განსაზღვრასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება;
- გ) ჩარჩოსა და კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- დ) ჩარჩოსა და კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების შესახებ მონიტორინგის გეგმის ანგარიშის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- ე) ჩარჩოსა და კლასიფიკატორის დანერგვასა და განვითარებასთან დაკავშირებული მეთოდური სახელმძღვანელო დოკუმენტების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- ვ) კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის ფუნქციონირების ყოველწლიური ანგარიშის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- ზ) ჩარჩოსა და კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირების გაზრდის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- თ) ჩარჩოსა და კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით, სხვა საკითხების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

#### **მუხლი 4. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა და ფორმირების წესი**

1. მრჩეველთა საბჭოს წევრებს 6 წლის ვადით ნიშნავს ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.
2. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდნენ:
  - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარდგენილი პირი/პირები;
  - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარდგენილი პირი;
  - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარდგენილი პირი;
  - ცენტრის მიერ წარდგენილი პირი/პირები;
  - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ წარდგენილი პირი;
  - საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმითა და კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები;

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმითა და კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები;
  - განათლების მიმართულებით მომუშავე პროფესიული ასოციაციის ან/და გაერთიანების წარმომადგენლები;
  - განათლების მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო (არასამთავრობო) სექტორის წარმომადგენლები;
  - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის მიერ წარდგენილი პირი;
  - ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ წარდგენილი პირი.
3. მრჩეველთა საბჭოს წევრობის კანდიდატების წარდგენა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ორგანიზაციებიდან ხორციელდება ცენტრის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა. ამასთან, ამ სახის წერილობითი მიმართვა ხორციელდება მხოლოდ იმ უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომელთა პროგრამები ფარავს კლასიფიკატორით განსაზღვრულ ყველაზე მეტ სწავლის სფეროს.
4. ცენტრის წარმომადგენლებს, მათთან შეთანხმებით, წარადგენს ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახური.
5. საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან ერთზე მეტი კანდიდატის წარდგენის შემთხვევაში მრჩეველთა საბჭოს წევრად შესაძლოა შეირჩენს კანდიდატები შემდეგი პრიორიტეტულობით:
- ა) კანდიდატი, რომელიც წარდგენილია ყველაზე მეტი დაწესებულების მიერ, ერთდროულად;
  - ბ) კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ ყველაზე მეტ მოთხოვნას.
6. მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით (გადაწყვეტილების მიღებაზე ხმის უფლების გარეშე) ასევე შეიძლება მოწვეულ იქნენ ადგილობრივი ან/და საერთაშორისო სპეციალისტები/ექსპერტები და სხვა პირები, რომელთა ცოდნა და გამოცდილება მნიშვნელოვანი იქნება ჩარჩოსა და კლასიფიკატორის განვითარებისათვის.
7. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ კანდიდატებთან დაკავშირებით მრჩეველთა საბჭოში შეყვანის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ცენტრის დირექტორი. ამასთან, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე.

8. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი მრჩეველთა საბჭოს წევრობის კანდიდატები, სასურველია, აკმაყოფილებდნენ ერთ ან რამდენიმე მოთხოვნას:

- ა) მაგისტრის ან დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ბ) მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება;
- გ) ჩარჩოსა და კლასიფიკატორის ან/და საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ან დარგობრივი მახასიათებლების შემუშავებისა და განვითარების პროცესებში მონაწილეობა.

9. მრჩეველთა საბჭოს წევრს, ცენტრის დირექტორის მიერ, შეიძლება უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

- ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
- ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;
- გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
- დ) სხდომებზე ფიზიკურად ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით ზედიზედ სამჯერ გამოუცხადებლობის შემთხვევაში;
- ე) იმ ორგანიზაციაში თანამშრომლის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, რომლის კვოტითაც არის წარდგენილი საბჭოს წევრად. მსგავსი გარემოების დადგომის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანდიდატი წარმოდგენილია ერთდროულად რამდენიმე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, საბჭოს წევრი ვალდებულია წერილობით აცნობოს ცენტრს აღნიშნულის შესახებ ამ გარემოების დადგომიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;
- ვ) წევრის წარმდგენი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის დაკარგვის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანდიდატი წარმოდგენილია ერთდროულად რამდენიმე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

10. ამ წესის მე-9 პუნქტით განსაზღვრული გარემოების/გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ცენტრის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ხორციელდება მრჩეველთა საბჭოში აღნიშნული პირის ჩანაცვლება.

11. ცენტრის წარმომადგენლ(ებ)ის შესახებ ჩანაცვლებას წარადგენს კვალიფიკაციების განვითარების სამსახური.

## მუხლი 5. მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის წესი

1. მრჩეველთა საბჭოს სხდომები ტარდება წელიწადში არანაკლებ ორჯერ. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მრჩეველთა საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა ცენტრის დირექტორის, მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით ან საბჭოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნით.
2. მრჩეველთა საბჭოს სხდომას უძღვება მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს სხდომაზე საბჭოს წევრების დამსწრეთა უმრავლესობით განსაზღვრული საბჭოს ერთ-ერთი წევრი.
3. მრჩეველთა საბჭოს წევრი უფლებამოსილია სხდომაში მონაწილეობა მიიღოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით. ამასთან, საბჭოს სხდომა შესაძლებელია განხორციელდეს სრულად დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
4. მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს სიითი შემადგენლობის 2/3 (ორ მესამედზე) მეტი.
5. მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე ხმის მიცემა წარმოებს ღია კენჭისყრით. მრჩეველთა საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
6. მრჩეველთა საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე/სხდომაზე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილე წევრთა ხმების  $\frac{3}{4}$ -ით (სამი მეოთხედით). ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია მრჩეველთა საბჭოს სხდომის თავმჯდომარის ხმა.
7. მრჩეველთა საბჭოს წევრს არ აქვს ხმის მიცემისგან თავის შეკავების უფლება.
8. მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელიც შეთანხმებულია საბჭოს წევრებთან და ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და ოქმის მწარმოებელი.
9. მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმს, მათ შორის, დისტანციური ელექტრონული ფორმატით გამართული სხდომის ოქმს, ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახური ცენტრის დირექტორს წარუდგენს სხდომის ჩატარებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.
10. მრჩეველთა საბჭოს წევრები ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ საბჭოს მუშაობაში და დაიცვან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნები.
11. მრჩეველთა საბჭოს წევრი საკუთარი ფუნქციების შესრულებისას უნდა იყოს დამოუკიდებელი, ობიექტური, მიუკერძოებელი და უნდა იცავდეს კოლეგიალურობისა და საყოველთაოდ აღიარებულ ეთიკის პრინციპებს.

12. მრჩეველთა საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ახორციელებს ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახური, რომელიც საბჭოს წევრებს სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 10 კალენდარული დღით ადრე უზრუნველყოფს სხდომის დღის წესრიგის შესაბამის დოკუმენტაციას. საბჭოს წევრი უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, რის თაობაზეც საბჭოს წევრმა უნდა აცნობოს ცენტრს საბჭოს სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე. ცენტრი ვალდებულია მოთხოვნილი დოკუმენტაცია გაუზრუნველოს საბჭოს წევრებს საბჭოს გამართვამდე, არანაკლებ 3 დღით ადრე.
13. სხდომის გამართვამდე, საბჭოს თითოეული წევრი ვალდებულია წინასწარ შეისწავლოს ამ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

#### **მუხლი 6. მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციები**

1. საბჭოს გადაწყვეტილებას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი და აისახება სხდომის ოქმში.
2. ცენტრის დირექტორის რეზოლუციით საბჭოს რეკომენდაციები განთავსდება ცენტრის ვებგვერდზე.